ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი", ღონისძიების ახალგაზრდული კლიმატური ინიციატივების (YOUTH CLIMATE ACTION FUND / YCAF) ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დებულების მიზანი და რეგულირების სფერო

1. ეს დებულება განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი“, ღონისძიების „ახალგაზრდული კლიმატური სამოქმედო ფონდის“ / Youth Climate Action Fund / YCAF (შემდგომში – პროგრამა) ფარგლებში ახალგაზრდული კლიმატური პროექტების შერჩევის მიზნით კონკურსის ჩატარების პირობებსა და პროცედურებს, მათ შორის განაცხადების მიღების, შეფასების, დაფინანსების, მონიტორინგისა და ანგარიშგების წესს და მონაწილე მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს.
2. კონკურსის ადმინისტრატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და უფლებამოსილებები განისაზღვრება მერის ბრძანებით. სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის მიმართულებისა და განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებაზე პასუხისმგებელი მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები.
3. კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის, თანასწორი შესაძლებლობის, ახალგაზრდული ლიდერობის, მიუკერძოებლობის, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და თანხების მიზნობრივი გამოყენების პრინციპების დაცვით.

მუხლი 2. პროგრამის მიზნები

1. ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერება ბათუმის ადგილობრივი კლიმატური გამოწვევების გადაწყვეტაში;
2. 15–24 წლის ახალგაზრდების მიერ ინიცირებული, შემუშავებული და მართული პრაქტიკული კლიმატური პროექტების მხარდაჭერა;
3. ახალგაზრდული იდეების ქალაქის კლიმატურ პრიორიტეტებთან დაკავშირება და მათი განხორციელების შესაძლებლობის შექმნა;
4. მუნიციპალიტეტსა და ახალგაზრდებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და ახალგაზრდული კლიმატური ლიდერობის გაძლიერება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. პროექტის დაფინანსება – YCAF-ის პროგრამულ დოკუმენტებში „microgrant“-ად განსაზღვრული, კონკურსის შედეგად შერჩეული ახალგაზრდული კლიმატური ინიციატივის განსახორციელებლად, ამ დებულებითა და მიზნობრივი დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, დაფინანსების მიმღები ორგანიზაციისათვის გამოყოფილი 1 000–5 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის მიზნობრივი ფულადი სახსრები.

2. ახალგაზრდული გუნდი – პროექტის ახალგაზრდა ლიდერები და, არსებობის შემთხვევაში, ახალგაზრდული გუნდის სხვა წევრები, რომლებიც ერთობლივად მონაწილეობენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.
3. პროექტის ახალგაზრდა ლიდერი – განაცხადში დასახელებული 15–24 წლის პირი, რომელიც სხვა პროექტის ახალგაზრდა ლიდერებთან ერთად პროექტს სთავაზობს, გეგმავს და ხელმძღვანელობს, აქტიურად მონაწილეობს ძირითად გადაწყვეტილებათა მიღებასა და პროექტის ზედამხედველობაში. თითოეულ პროექტს უნდა ჰყავდეს სულ მცირე ორი პროექტის ახალგაზრდა ლიდერი.
4. საკონტაქტო ახალგაზრდა ლიდერი – პროექტის ახალგაზრდა ლიდერებიდან განაცხადში განსაზღვრული ერთი პირი, რომელიც ახალგაზრდული გუნდის სახელით უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტთან და მიმღებ ორგანიზაციასთან მიმდინარე პროგრამულ კომუნიკაციას. საკონტაქტო ახალგაზრდა ლიდერის ფუნქცია არ ამცირებს სხვა პროექტის ახალგაზრდა ლიდერების თანაბარ პასუხისმგებლობას ახალგაზრდულ ლიდერობასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე.
5. ახალგაზრდული გუნდის სხვა წევრი – 15–24 წლის ახალგაზრდა, რომელიც პროექტის ახალგაზრდა ლიდერებთან ერთად მონაწილეობს პროექტის დაგეგმვასა და/ან განხორციელებაში, თუმცა განაცხადში არ არის განსაზღვრული პროექტის ახალგაზრდა ლიდერად.
6. ახალგაზრდა მონაწილე (youth participant) – 15–24 წლის ახალგაზრდა, რომელიც მონაწილეობს პროექტის აქტივობებში, თუმცა არ მიეკუთვნება ახალგაზრდულ გუნდს და არ ახორციელებს პროექტის ძირითად შინაარსობრივ ხელმძღვანელობას.
7. მიმღები ორგანიზაცია – ამ დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილი იურიდიული პირი, რომელიც ახალგაზრდული გუნდის მიერ განისაზღვრება განაცხადის წარდგენის ეტაპზე, რომლის საბანკო ანგარიშზეც ირიცხება პროექტის დაფინანსება და რომელიც ახალგაზრდული გუნდის სახელით ახორციელებს პროექტის ფინანსურ და ადმინისტრაციულ უზრუნველყოფას.
8. მიმღები ორგანიზაციის პროექტის საკონტაქტო პირი – მიმღები ორგანიზაციის მიერ დასახელებული პირი, რომელიც ორგანიზაციის მხრიდან უზრუნველყოფს პროექტთან დაკავშირებულ მიმდინარე ადმინისტრაციულ და ფინანსურ კომუნიკაციას, ხარჯებისა და ანგარიშგების კოორდინაციას ახალგაზრდულ გუნდთან და მუნიციპალიტეტთან. აღნიშნული პირი არ ანაცვლებს საკონტაქტო ახალგაზრდა ლიდერს.
9. პროგრამის ადმინისტრატორი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს კონკურსის ადმინისტრირებას, განაცხადების ფორმალური შესაბამისობისა და დასაშვებობის შემოწმებას, YCAF-ის პროგრამის გუნდთან კოორდინაციას, დაფინანსებული პროექტების მონიტორინგსა და ანგარიშგების პროცესის ორგანიზებას.
10. YCAF-ის პროგრამის ქალაქის საკოორდინაციო პირი (City Lead) – მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული პირი, რომელიც უზრუნველყოფს YCAF-ის პროგრამის გუნდთან ოფიციალურ კოორდინაციას და პროგრამის ადმინისტრატორთან ერთად კომუნიკაციას YCAF-ის პროგრამის ქოუჩთან.
11. პროდუქტი (output) – პროექტის აქტივობების შედეგად უშუალოდ შექმნილი გაზომვადი შედეგი.
12. შედეგი (outcome) – პროექტის აქტივობებისა და პროდუქტების შედეგად მიღებული ცვლილება ან სარგებელი.
13. ინტერესთა კონფლიქტი – გარემოება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომისიის წევრის მიუკერძოებლობაზე, მათ შორის განმცხადებელთან, ახალგაზრდული გუნდის წევრთან, მიმღებ ორგანიზაციასთან ან პროექტთან პირდაპირი ან არაპირდაპირი პირადი, ოჯახური, პროფესიული ან ფინანსური კავშირი.

თავი II. დაფინანსება და მონაწილეთა უფლებამოსილება

მუხლი 4. დაფინანსების მოცულობა და პროექტების რაოდენობა

1. კონკურსის საერთო დაფინანსების ფონდი შეადგენს 46 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს.
2. ერთი პროექტისათვის მოთხოვნილი დაფინანსება უნდა იყოს არანაკლებ 1 000 და არაუმეტეს 5 000 აშშ დოლარის ეკვივალენტისა.
3. კონკურსის შედეგად უნდა დაფინანსდეს სულ მცირე 8 ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პროექტი.
4. ერთი და იმავე მიმღები ორგანიზაციის მეშვეობით განაცხადების წარდგენის რაოდენობა არ იზღუდება. ამასთან, ერთი და იმავე მიმღები ორგანიზაციის მეშვეობით შეიძლება დაფინანსდეს არაუმეტეს სამი დამოუკიდებელი პროექტისა. თითოეული პროექტი უნდა იყოს დამოუკიდებელი ახალგაზრდული ინიციატივა და განსხვავდებოდეს ახალგაზრდული გუნდით, მიზნით, აქტივობებით, პროდუქტებით, შედეგებითა და ბიუჯეტით. დაუშვებელია ერთი პროექტის ხელოვნურად დაყოფა რამდენიმე განაცხადად.
გამონაკლისის სახით, საგანმანათლებლო დაწესებულების მეშვეობით შესაძლებელია დაფინანსდეს სამზე მეტი დამოუკიდებელი პროექტი, თუ აღნიშნული დასაბუთებულია ახალგაზრდების ჩართულობის მასშტაბით, წარმოდგენილი პროექტების დამოუკიდებლობითა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაძლებლობით, უზრუნველყოს პროექტების სათანადო ადმინისტრირება.
5. თანადაფინანსება არ მოითხოვება. პროექტის სრულად განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს მოთხოვნილი პროექტის დაფინანსების ფარგლებში და არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა წყაროდან დამატებითი დაფინანსების მიღებაზე.

მუხლი 5. უფლებამოსილი ახალგაზრდული გუნდი და განმცხადებელი

1. პროექტი უნდა იყოს შემოთავაზებული, შემუშავებული და მართული სულ მცირე ორი 15–24 წლის პროექტის ახალგაზრდა ლიდერის მიერ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებასა და პროექტის ზედამხედველობაში.
2. პროექტის ახალგაზრდა ლიდერებიდან ერთი განაცხადში უნდა განისაზღვროს საკონტაქტო ახალგაზრდა ლიდერად, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდული გუნდის სახელით მიმდინარე კომუნიკაციას.
3. პროექტის ახალგაზრდა ლიდერები და ახალგაზრდული გუნდის სხვა წევრები რეგისტრირებული უნდა იყვნენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში. რეგისტრაციის ფაქტი დასტურდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით.
4. პროექტის ძირითადი აქტივობები უნდა განხორციელდეს ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მისი პირდაპირი სარგებელი ძირითადად უკავშირდებოდეს ბათუმის ადგილობრივ კლიმატურ საჭიროებებსა და მოსახლეობას.
5. ერთ ახალგაზრდულ გუნდს შეუძლია წარადგინოს ერთი პროექტი.
6. ახალგაზრდას შეუძლია მონაწილეობდეს მაქსიმუმ ორ ახალგაზრდულ გუნდში, თუმცა პროექტის ახალგაზრდა ლიდერის სტატუსით – მხოლოდ ერთ პროექტში.
7. არასრულწლოვანი ახალგაზრდული გუნდის წევრის მონაწილეობისთვის საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა, რომელიც მოიცავს პროექტში მონაწილეობას, პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და ფოტო-ვიდეო მასალის გამოყენებას. პროექტმა უნდა განსაზღვროს არასრულწლოვანთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სრულწლოვანი პირი.
8. მიმღები ორგანიზაცია განსაზღვრული უნდა იყოს განაცხადის წარდგენის ეტაპზე. მიმღები ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი განაცხადის ფორმაზე ხელმოწერით ადასტურებს პროექტის მხარდაჭერას და, პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, დაფინანსების მიღებისა და

ადმინისტრირების ვალდებულებას. მიმღები ორგანიზაციის შერჩევასა და მისი თანხმობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ახალგაზრდული გუნდი.
9. პროექტის აქტივობებში შეიძლება მონაწილეობდნენ სხვა ასაკობრივი ჯგუფის პირები, ექსპერტები, მენტორები, ტრენერები, მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი პირები, თუ მათი მონაწილეობა არ ანაცვლებს პროექტის ახალგაზრდა ლიდერების რეალურ ლიდერობას, გადაწყვეტილებების მიღებასა და პროექტის ზედამხედველობას.

მუხლი 6. უფლებამოსილი მიმღები ორგანიზაცია

1. დაფინანსების მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ახალგაზრდული ან სათემო ორგანიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სკოლა, პროფესიული ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, ახალგაზრდული ცენტრი ან სხვა საჯარო/არაკომერციული დაწესებულება, რომელსაც აქვს მიზნობრივი დაფინანსების მიღებისა და ადმინისტრირების სამართლებრივი უფლებამოსილება და ორგანიზაციის სახელზე გახსნილი მოქმედი საბანკო ანგარიში.
2. კერძო კომპანია, ინდივიდუალური მეწარმე, ფიზიკური პირი, პოლიტიკური პარტია, პარტიასთან დაკავშირებული ორგანიზაცია ან კომერციული საქმიანობისთვის შექმნილი სხვა სუბიექტი არ განიხილება უფლებამოსილ მიმღებ ორგანიზაციად.
3. მიმღები ორგანიზაცია უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოში და ჰქონდეს ქალაქ ბათუმში რეგისტრირებული მისამართი, მოქმედი ფილიალი, წარმომადგენლობა ან ბოლო ორი წლის განმავლობაში ქალაქ ბათუმში დოკუმენტურად დადასტურებული საქმიანობა. ორგანიზაციამ პროექტის განხორციელების პერიოდში უნდა უზრუნველყოს ბათუმში პროექტის საკონტაქტო პირის არსებობა, რომელიც ორგანიზაციის მხრიდან კოორდინაციას გაუწევს მიმდინარე ადმინისტრაციულ და ფინანსურ კომუნიკაციას, ხარჯებსა და ანგარიშგებას ახალგაზრდულ გუნდთან და მუნიციპალიტეტთან. ბათუმში საქმიანობა შეიძლება დადასტურდეს განხორციელებული პროექტით ან პროგრამით, მოქმედი თანამშრომლის ან წარმომადგენლის არსებობით, ადგილობრივ დაწესებულებასთან მიმდინარე თანამშრომლობით ან სხვა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებით.
4. საჯარო დაწესებულება ან საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილ მიმღებად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტურად დაადასტურებს პროექტის დაფინანსების მიღების, საბანკო ანგარიშზე ასახვის, ხარჯვისა და ანგარიშგების სამართლებრივ და ფინანსურ უფლებამოსილებას.
5. მიმღები ორგანიზაცია არ უნდა იყოს ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან საქმიანობის შეჩერების პროცესში. ასევე, არ უნდა ექვემდებარებოდეს მოქმედ სანქციათა რეჟიმს და არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი პროგრამის ადმინისტრატორთან ან კომისიის წევრებთან.
6. კონკურსის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი მერიის სტრუქტურული ერთეული არ შეიძლება იყოს დაფინანსების მიმღები ორგანიზაცია.
7. თუ მიმღები ორგანიზაცია ახალგაზრდული გუნდის სახელით ახორციელებს პროექტის დაფინანსების ადმინისტრირებას, ამ მომსახურებასთან უშუალოდ დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს პროექტის დაფინანსების 15%-ს. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს პროექტის ბუღალტრულ აღრიცხვას, საბანკო მომსახურებას, ადმინისტრაციული პერსონალის პროპორციულ ანაზღაურებასა და აუცილებელ საოფისე/საკანცელარიო ხარჯს. ასევე, დაუშვებელია ორგანიზაციის საერთო საოპერაციო ხარჯების დაუსაბუთებელი ან არაპროპორციული გადატანა პროექტზე.

თავი III. პროექტის მიმართულებები, პირობები და ხარჯები

მუხლი 7. დასაფინანსებელი მიმართულებები

1. კონკურსის ფარგლებში წარდგენილი დასაფინანსებელი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, უკავშირდებოდეს ქალაქ ბათუმის ადგილობრივ კლიმატურ ან გარემოსდაცვით საჭიროებას და იყოს ახალგაზრდების მიერ ინიცირებული, შემუშავებული და მართული.

2. კონკურსის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი მიმართულებების მცირე მასშტაბის პროექტები:

ა) კლიმატური და გარემოსდაცვითი განათლება, ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებრივი ჩართულობა, მათ შორის ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, საინფორმაციო კამპანიები, შემოქმედებითი და კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები;

ბ) ადგილობრივი კლიმატური და გარემოსდაცვითი პრობლემების კვლევა, მონაცემთა შეგროვება, დაკვირვება, გამოკითხვა და რუკირება, მათ შორის ქალაქის სიცხის, ჰაერის, წყლის, ნარჩენების, გამწვანებისა და სხვა შესაბამისი საკითხების შესახებ;

გ) კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და ქალაქის მდგრადობის მცირე მასშტაბის საპილოტე ინიციატივები, მათ შორის სიცხის ზემოქმედების შემცირების, წყლის დაზოგვის, წვიმის წყლის გონივრული გამოყენებისა და კლიმატურ რისკებთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;

დ) გამწვანების, ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის მცირე მასშტაბის ინიციატივები, მათ შორის ადგილობრივი მცენარეების დარგვა და მოვლა, მუნიციპალურ საჯარო სივრცეებში მინი-ბაღების მოწყობა და ბუნებრივი გარემოს დაცვის ღონისძიებები;

ე) ცირკულარული ეკონომიკის, ნარჩენების წარმოქმნის შემცირების, ხელახალი გამოყენების, შეკეთების, გადამუშავებისა და რესურსების ეფექტიანი მოხმარების ხელშემწყობი ინიციატივები;

ვ) ნარჩენების დახარისხებისა და პასუხისმგებლიანი მართვის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მცირე მასშტაბის საზოგადოებრივი აქტივობები, რომლებიც არ ანაცვლებს მუნიციპალიტეტის ან მისი შესაბამისი ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელ რეგულარულ დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურებას;

ზ) მდგრადი მობილობის ხელშემწყობი საგანმანათლებლო, კვლევითი და საზოგადოებრივი ინიციატივები, მათ შორის ფეხით გადაადგილების, ველოსიპედის, მუნიციპალური ტრანსპორტისა და უსაფრთხო გადაადგილების პოპულარიზაცია;

თ) კლიმატურ მმართველობაში ახალგაზრდების მონაწილეობისა და ადგილობრივ გადაწყვეტილებებში მათი ჩართულობის ხელშემწყობი ინიციატივები, მათ შორის ახალგაზრდული კონსულტაციები, ფორუმები, კვლევები და რეკომენდაციების შემუშავება;

ი) მდგრადი მოხმარებისა და ადგილობრივი სასურსათო სისტემების მცირე მასშტაბის საგანმანათლებლო ან საპილოტე პროექტები, მათ შორის საკვების ნარჩენების შემცირება, კომპოსტირება და ურბანული მებაღეობა;

კ) სხვა ახალგაზრდული კლიმატური ინიციატივა, რომელიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ქალაქ ბათუმის ადგილობრივ საჭიროებებსა და მუნიციპალიტეტის კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

3. პროექტის მიზნები, აქტივობები, ბიუჯეტი, განხორციელების ვადები და მოსალოდნელი შედეგები უნდა იყოს ურთიერთშესაბამისი და განხორციელებადი ამ დებულებით განსაზღვრული დაფინანსებისა და პროექტის განხორციელების ვადის ფარგლებში.

4. პროექტი არ უნდა ითვალისწინებდეს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის, შენობის, ნაგებობის ან სხვა ქონების გამოყენებას, მოწყობას, რეაბილიტაციას ან სხვაგვარ ჩარევას.

5. პროექტის განხორციელება არ უნდა იყოს დამოკიდებული მესამე პირის თანხმობაზე, მხარდაჭერაზე, თანადაფინანსებაზე, ქონების ან სხვა რესურსის გამოყენებაზე, გარდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ან სხვა მუნიციპალური ორგანიზაციის თანხმობისა და მხარდაჭერისა.

6. თუ პროექტის განხორციელება საჭიროებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ან სხვა მუნიციპალური ორგანიზაციის ქონების, რესურსის, თანხმობის ან მხარდაჭერის გამოყენებას, აღნიშნული გარემოება მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული განაცხადში. შესაბამისი წერილობითი თანხმობა წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, პროგრამის ადმინისტრატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში. თანხმობის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში პროექტი არ ექვემდებარება დაფინანსებას.

7. კონკურსის ფარგლებში არ ფინანსდება:

ა) მსხვილი სამშენებლო, სარეაბილიტაციო ან საინჟინრო სამუშაოები;

ბ) გზის, ველობილიკის, სანიაღვრე, წყალმომარაგების, წყალარინების ან სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობა ან არსებითი რეაბილიტაცია;

გ) მუნიციპალიტეტის ან სხვა საჯარო დაწესებულების კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულარული მომსახურების ჩანაცვლება;

დ) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, შენობაში, ნაგებობაზე ან სხვა ქონებაზე განსახორციელებელი საქმიანობა;

ე) პროექტი, რომლის განხორციელება დამოკიდებულია კერძო, არასამთავრობო, საგანმანათლებლო, რელიგიური ან სხვა მესამე პირის თანხმობაზე, მხარდაჭერაზე, თანამონაწილეობაზე ან რესურსზე;

ვ) პროექტი, რომლის ძირითადი მიზანი ტექნიკის, ინვენტარის ან სხვა კაპიტალური აქტივის შეძენაა;

ზ) პროექტი, რომლის განხორციელება შეუძლებელია ახალგაზრდული გუნდის, მიმღები ორგანიზაციისა და, საჭიროების შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებისა და ორგანიზაციების რესურსებითა და უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 8. პროექტის სავალდებულო პირობები

1. პროექტის განხორციელება უნდა დაიწყოს დაფინანსების მიღების შემდეგ და დასრულდეს არაუგვიანეს 2027 წლის 14 აპრილისა.

2. პროექტს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ აღწერილი პრობლემა, მიზანი, საქმიანობები, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების გეგმა, რისკები და ბიუჯეტი.

3. პროექტი უნდა შეიცავდეს სულ მცირე ერთ გაზომვად პროდუქტს და ერთ გაზომვად შედეგს, თითოეულის რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლით.

4. პროექტის შინაარსი და გადაწყვეტილებების მიღება უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდულ ლიდერობას.

5. პროექტი უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდების მიერ შემუშავებულ ახალ და ორიგინალურ იდეას. კონკურსის ფარგლებში არ ფინანსდება უკვე არსებული ან მიმდინარე პროექტის ან საქმიანობის უცვლელი გაგრძელება. პროექტი შეიძლება ეფუძნებოდეს ადრე განხორციელებული პროექტის ან ინიციატივის გამოცდილებას, მათ შორის YCAF-ის ფარგლებში განხორციელებული პროექტის გამოცდილებას, იმ პირობით, რომ განაცხადში მკაფიოდ არის ნაჩვენები ახალი ან არსებითად შეცვლილი მიდგომა, აქტივობა, სამიზნე ჯგუფი, პროდუქტი ან მოსალოდნელი შედეგი.

6. პროექტი არ უნდა გამოიყენებოდეს მუნიციპალიტეტის ან სხვა ორგანიზაციის უკვე არსებული ანაზღაურებადი სამუშაოს ახალგაზრდების უფასო შრომით ჩასანაცვლებლად.

7. აღჭურვილობის, ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის/კაპიტალური ინვესტიციის ერთობლივი ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 50%-ს და უნდა იყოს პროექტის ახალგაზრდული აქტივობებისთვის არსებითად აუცილებელი.

მუხლი 9. დასაშვები ხარჯები

1. პროექტისთვის უშუალოდ საჭირო მასალებისა და მარაგების შეძენა ან იჯარა, მათ შორის ხელსაწყოები, ტექნოლოგია და ხელოვნების მასალები.
2. საზოგადოებრივი ღონისძიებების, სამუშაო შეხვედრებისა და საგანმანათლებლო სესიების ორგანიზება, მათ შორის ბეჭდვითი მასალები და გონივრული მოცულობის მსუბუქი კვება.
3. პროექტის განხორციელებისთვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ გასაცემი ნებართვის ან სხვა ადმინისტრაციული პროცედურის კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებელი, არსებობის შემთხვევაში.
4. ახალგაზრდა მონაწილეთა და გუნდის წევრთა გონივრული ადგილობრივი სახმელეთო მგზავრობის ხარჯი.
5. პროექტის პოპულარიზაციისა და შედეგების გავრცელების მასალები, მათ შორის ფოტო, ვიდეო და სარედაქციო მომსახურება.
6. ახალგაზრდებთან ინტერაქტიული ტრენინგისა და მენტორობის გონივრული მომსახურების საფასური.
7. მიმღები ორგანიზაციის დასაბუთებული ადმინისტრაციული ხარჯი - არაუმეტეს პროექტის დაფინანსების 15%-ისა;
8. ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშემწყობი მცირე და პროპორციული ხარჯები, რომლებიც არ შეადგენს პროექტის ბიუჯეტის ძირითად ნაწილს.
9. აუცილებელი კაპიტალური ინვესტიცია - პროექტის დაფინანსების არაუმეტეს 50%-ისა.

მუხლი 10. დაუშვებელი ხარჯები და საქმიანობა

1. მუნიციპალიტეტის ან სხვა არსებული პროგრამით უკვე დაფარული მომსახურება/ხარჯი.
2. ოფისის, ღონისძიების ან სხვა სივრცის ქირა და კომუნალური გადასახადები.
3. ორგანიზაციის რეგისტრაციის ან დაფუძნების ხარჯი.
4. მომხსენებლის ჰონორარი ან ერთჯერადი გამოსვლის საფასური. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით ჩატარებული პრაქტიკული ტრენინგისა და მენტორობის მომსახურების გონივრულ საფასურზე.
5. სტიპენდია, ინდივიდუალური ან ოჯახების პირდაპირი ფინანსური დახმარება.
6. პოლიტიკური პარტიის, კანდიდატის, საარჩევნო კამპანიის, ლობირების ან ამომრჩეველთა რეგისტრაციის ხარჯი.
7. კომერციული საქმიანობა ან მოგების განაწილება.
8. სახელმწიფო/მუნიციპალური თანამდებობის პირისთვის გადახდა.
9. ახალგაზრდულ კლიმატურ მოქმედებასთან დაუკავშირებელი ღონისძიება ან ფონდების მოძიება.
10. პროექტის დაფინანსების თანხის მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა ორგანიზაციისთვის ან ფიზიკური პირისთვის შემდგომი დაფინანსების სახით გადაცემა.
11. ალკოჰოლი, თამბაქო, იარაღი, ჯარიმა, საურავი, სასამართლო დავის ხარჯი და კანონმდებლობით აკრძალული საქონელი/საქმიანობა.

თავი IV. კონკურსის გამოცხადება, განაცხადების მიღება და შეფასება

მუხლი 11. კონკურსის გამოცხადება და ინფორმირება

1. კონკურსი ცხადდება მერის ბრძანების საფუძველზე და ინფორმაცია ქვეყნდება მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე და სოციალურ მედიაში.

2. განცხადება უნდა შეიცავდეს კონკურსის მიზანს, პრიორიტეტებს, ფონდს, პროექტის დაფინანსების მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას, დასაშვებობის პირობებს, წარსადგენ დოკუმენტებს, შეფასების კრიტერიუმებს, ვადებს, განაცხადის წარდგენის არხებს და საკონტაქტო ინფორმაციას.
3. პროგრამის ადმინისტრატორი ატარებს სულ მცირე ერთ საინფორმაციო-საორიენტაციო სესიას ახალგაზრდებთან, სადაც განმარტავს ქალაქის კლიმატურ პრიორიტეტებს, კონკურსის პირობებსა და განაცხადის მომზადების წესს.
4. კონკურსთან დაკავშირებული ზოგადი განმარტებები, საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნდება მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 12. განაცხადის წარდგენის წესი
1. განაცხადების მიღების დაწყებისა და დასრულების კონკრეტული თარიღები განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ მერის ბრძანებითა და საჯარო განცხადებით, YCAF-ის პროგრამით განსაზღვრული საბოლოო ვადებისა და პროგრამის გუნდთან შეთანხმებული კალენდრის გათვალისწინებით.
2. განაცხადი და ამ დებულებით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით, კონკურსის საჯარო განცხადებაში მითითებულ, პროგრამისთვის სპეციალურად განსაზღვრულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე. განაცხადი წარდგენილად ჩაითვლება აღნიშნულ ელექტრონულ ფოსტაზე მისი მიღების თარიღისა და დროის მიხედვით.
3. განაცხადის წარდგენის საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული განაცხადი არ განიხილება. განაცხადის დროულად და სრულად გაგზავნასთან დაკავშირებული ტექნიკური რისკი ეკისრება განმცხადებელს. რეკომენდებულია განაცხადის გაგზავნა საბოლოო ვადის ამოწურვამდე გონივრული დროით ადრე.
4. ერთი პროექტის რამდენიმე ვერსიის წარდგენის შემთხვევაში განიხილება განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადამდე ელექტრონულ ფოსტაზე ბოლოს მიღებული სრული ვერსია.
5. ელექტრონულ წერილს უნდა ერთვოდეს Word ფორმატში შევსებული დაფინანსების განაცხადის ფორმა და ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა თანდართული დოკუმენტების ელექტრონული ასლები. დაფინანსების განაცხადის ფორმა წარმოდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და დასკანერებული PDF დოკუმენტის სახით ან კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით დამოწმებული ელექტრონული დოკუმენტის სახით.
6. ელექტრონული წერილის სათაურში უნდა მიეთითოს კონკურსის დასახელება და განმცხადებლის დასახელება. თუ დანართების მოცულობის გამო დოკუმენტაცია იგზავნება რამდენიმე ელექტრონული წერილით, თითოეული წერილის სათაურში დამატებით უნდა მიეთითოს შესაბამისი ნაწილის ნომერი და ნაწილების საერთო რაოდენობა (მა. 1/3; 2/3; 3/3).

მუხლი 13. წარსადგენი დოკუმენტები
1. ამ დებულების მე-12 მუხლით განსაზღვრული წესით შევსებული და ხელმოწერილი განაცხადის ფორმა, მათ შორის განაცხადის ფორმაში ინტეგრირებული პროექტის ბიუჯეტი, ხარჯების დასაბუთება და სავალდებულო დეკლარაციები;
2. პროექტის ახალგაზრდა ლიდერებისა და ახალგაზრდული გუნდის სხვა წევრების ასაკის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის ფაქტის დამადასტურებელი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობები;
3. არასრულწლოვანი ახალგაზრდული გუნდის წევრის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა;

4. მიმღები ორგანიზაციის ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან და წესდება ან სამართლებრივი სტატუსისა და მიზნობრივი დაფინანსების მიღების უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;
5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ან სხვა მუნიციპალური ორგანიზაციის წერილობითი თანხმობა – პროექტის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თუ პროექტის განხორციელება საჭიროებს მუნიციპალური ქონების, რესურსის, თანხმობის ან მხარდაჭერის გამოყენებას;
6. საჭიროების შემთხვევაში სხვა დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება განაცხადის დასაშვებობის დადასტურებას.

მუხლი 14. ფორმალური შესაბამისობისა და დასაშვებობის შემოწმება

1. პროგრამის ადმინისტრატორი ამოწმებს განაცხადის დროულად წარდგენას, ფორმის სისრულეს, ახალგაზრდული გუნდის, მიმღები ორგანიზაციის, პროექტისა და ბიუჯეტის დასაშვებობას. თითოეული განაცხადის YCAF-ის მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა დამატებით მოწმდება სავალდებულო „Microgrant Application Eligibility Template"-ის გამოყენებით.
2. არაარსებითი ტექნიკური ხარვეზის, გაურკვეველი ან ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის არსებობისას განმცხადებელს შეიძლება მიეცეს არაუმეტეს 2 სამუშაო დღისა ხარვეზის გამოსასწორებლად ან წერილობითი დაზუსტების წარმოსადგენად. დაზუსტების შედეგად დაუშვებელია პროექტის მიზნის, ძირითადი აქტივობების, ახალგაზრდული გუნდის, პროექტის ახალგაზრდა ლიდერების, მოთხოვნილი თანხის ან დასაშვებობისა და შეფასებისთვის არსებითი სხვა შინაარსის შეცვლა.
3. საკონკურსო კომისიას გადაეცემა მხოლოდ ის განაცხადი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ ფორმალურ და პროგრამულ მოთხოვნებს და YCAF-ის სავალდებულო „Microgrant Application Eligibility Template"-ით გათვალისწინებულ ყველა შესაბამისობის კრიტერიუმს; აღნიშნული შაბლონის ყველა სავალდებულო კითხვაზე პასუხი უნდა იყოს „დიახ".
4. პროგრამის ადმინისტრატორი YCAF-ის შემდგომი ანგარიშგების მიზნებისთვის აღრიცხავს მიღებული განაცხადების საერთო რაოდენობას და შესაბამისობის კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი (eligible) განაცხადების რაოდენობას.
5. ფორმალური შესაბამისობისა და დასაშვებობის შემოწმების შემდეგ, YCAF-ის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის წინასწარი განხილვის მიზნით, პროექტების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია შეიძლება წარედგინოს YCAF-ის პროგრამის ქოუჩს. ქოუჩთან განხილვა არ ანაცვლებს სავალდებულო შესაბამისობის შემოწმებას, საკონკურსო კომისიის შეფასებასა და მუნიციპალიტეტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.
6. ფორმალური ან პროგრამული მოთხოვნების ან YCAF-ის სავალდებულო შესაბამისობის რომელიმე კრიტერიუმის შეუსაბამო განაცხადი არ გადაეცემა საკონკურსო კომისიას და განმცხადებელს ეცნობება უარის საფუძველი.

მუხლი 15. საკონკურსო კომისია

1. პროექტებს აფასებს მერის ბრძანებით შექმნილი დამოუკიდებელი საკონკურსო კომისია, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
2. კომისიაში შედიან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და გარე მრჩევლები/ექსპერტები კლიმატის, ახალგაზრდობის, პროექტების მართვის ან ფინანსების სფეროდან.
3. YCAF-ის პროგრამასთან ოფიციალურ კოორდინაციას ახორციელებს YCAF-ის პროგრამის ქალაქის საკოორდინაციო პირი (City Lead), რომელიც პროგრამის ადმინისტრატორთან ერთად უზრუნველყოფს YCAF-ის პროგრამის ქოუჩთან კომუნიკაციასა და წინასწარ პროგრამულ

კოორდინაციას. ქალაქის საკოორდინაციო პირი (City Lead) არ მონაწილეობს პროექტებისთვის ქულების მინიჭებაში.
4. კომისიის წევრი არ უნდა იყოს პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული, რომელიმე განმცხადებელთან, პროექტთან ან შესაძლო მიმღებ ორგანიზაციასთან. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას წევრი ვალდებულია განაცხადოს აცილება.
5. კომისიის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მდივანი, რომელიც არ მონაწილეობს ქულების მინიჭებაში.

მუხლი 16. შეფასების კრიტერიუმები და პროცესი

1. თითოეულ დასაშვებ განაცხადს დამოუკიდებლად აფასებს კომისიის სულ მცირე 3 წევრი 100-ქულიანი სისტემით.
2. შეფასების კრიტერიუმებია:
   ა) ადგილობრივ კლიმატურ გამოწვევასა და ქალაქის პრიორიტეტებთან შესაბამისობა – 20 ქულა;
   ბ) ახალგაზრდული ლიდერობა და გადაწყვეტილებების მიღებაში რეალური მონაწილეობა – 20 ქულა;
   გ) პროექტის ლოგიკა, აქტივობები, განხორციელებადობა, რესურსების ადეკვატურობა და რისკების მართვა – 25 ქულა;
   დ) გაზომვადი პროდუქტები, შედეგები და მათი მდგრადობა – 25 ქულა;
   ე) ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა – 10 ქულა.
3. დაფინანსებისთვის აუცილებელი მინიმალური საშუალო ქულაა 65/100. ამასთან, ამ ზღვრის გადალახვა ავტომატურად არ ნიშნავს დაფინანსებას.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის შეფასებისას, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილება პროექტის პრობლემას, მიზანს, აქტივობებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის ლოგიკური კავშირი, სამუშაო გეგმისა და ვადების რეალისტურობა, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების ადეკვატურობა, აგრეთვე ძირითადი რისკები და მათი მართვის ღონისძიებები.
5. დაფინანსებისთვის აუცილებელი მინიმალური საშუალო შეფასებაა 65 ქულა 100-დან. აღნიშნული ზღვრის მიღწევა არ წარმოშობს დაფინანსების ავტომატურ უფლებას. პროექტების დაფინანსება ხორციელდება კომისიის მიერ ჩამოყალიბებული რეიტინგის, პროგრამისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსისა და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით.
6. თემატური მრავალფეროვნება და მონაწილეთა ფართო წარმომადგენლობა გამოიყენება დაფინანსებული პროექტების პორტფელის საერთო შეფასებისას და არ წარმოადგენს ქულებით ჩამოყალიბებული რეიტინგიდან გადახვევის დამოუკიდებელ საფუძველს.
7. კომისიას შეუძლია მოითხოვოს წერილობითი ტექნიკური დაზუსტება მხოლოდ არაარსებითი ტექნიკური ხარვეზის, გაურკვეველი ან ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის გასარკვევად. დაზუსტების შედეგად დაუშვებელია პროექტის მიზნის, ძირითადი აქტივობების, ახალგაზრდული გუნდის, პროექტის ახალგაზრდა ლიდერების, მოთხოვნილი თანხის ან დასაშვებობისა და შეფასებისთვის არსებითი სხვა შინაარსის შეცვლა. თუ ზეპირი პრეზენტაცია გამოიყენება, იგი ერთნაირი პირობებით უნდა შესთავაზონ ყველა დასაშვებ განმცხადებელს.
8. თანაბარი საშუალო ქულის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

ა) „ახალგაზრდული ლიდერობა და გადაწყვეტილების მიღებაში რეალური მონაწილეობა“ კრიტერიუმში უფრო მაღალი ქულის მქონე პროექტს;
ბ) შემდეგ – უფრო მაღალი „ადგილობრივ კლიმატურ გამოწვევასა და ქალაქის პრიორიტეტებთან შესაბამისობის“ კრიტერიუმში უფრო მაღალი ქულის მქონე პროექტს.;
გ) შემდეგ – „გაზომვადი პროდუქტები, შედეგები და მათი მდგრადობა“ კრიტერიუმში უფრო მაღალი ქულის მქონე პროექტს.

ყველა ზემოაღნიშნული მაჩვენებლის თანაბრობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დასაბუთებული კენჭისყრით.

მუხლი 17. გადაწყვეტილება და შედეგების გამოქვეყნება

1. კომისია ადგენს დასაფინანსებელი პროექტების ძირითად და სარეზერვო სიებს და თითოეულ გადაწყვეტილებას ასახავს ოქმში.
2. შედეგები მტკიცდება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან სხვა სამართლებრივად განსაზღვრული ფორმით.
3. მერიის ვებგვერდზე ქვეყნდება გამარჯვებული პროექტების სახელწოდებები, ახალგაზრდული გუნდის/მიმღები ორგანიზაციის დასახელება, მოკლე აღწერა და დაფინანსების ოდენობა, პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნათა დაცვით.
4. განმცხადებელს უფლება აქვს შედეგის შეტყობინებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, მოითხოვოს საკუთარი შეფასების ქულებისა და მოკლე დასაბუთების გაცნობა. მოთხოვნა არ აჩერებს დაფინანსების პროცესს.
5. თუ გამარჯვებული უარს ამბობს, ვერ წარადგენს სავალდებულო დოკუმენტებს ან ვერ აკმაყოფილებს დაფინანსების წინაპირობას, დაფინანსება შეიძლება შეთავაზებულ იქნეს სარეზერვო სიაში მომდევნო პროექტს.

თავი V. ხელშეკრულება, პროექტის განხორციელება და ანგარიშგება

მუხლი 18. ხელშეკრულება და თანხის ჩარიცხვა

1. დაფინანსება გაიცემა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტსა და დაფინანსების მიმღებ ორგანიზაციას შორის გაფორმებული მიზნობრივი დაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც ახალგაზრდული გუნდი განისაზღვრება პროექტის შინაარსობრივ ლიდერად.
2. ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს პროექტის მიზანს, აქტივობებს, ბიუჯეტს, პროდუქტებსა და შედეგებს, განხორციელების ვადას, გადახდის წესს, მონიტორინგს, ცვლილებების წესს, ანგარიშგებას, თანხის დაბრუნებას, ინტელექტუალურ საკუთრებას, პერსონალურ მონაცემებსა და საჯარო კომუნიკაციას. ხელშეკრულებაში სავალდებულოდ აისახება RPA-სა და მუნიციპალიტეტს შორის YCAF-ის საგრანტო შეთანხმებიდან დაფინანსების მიმღებზე გასავრცელებელი (flow-down) მოთხოვნები, მათ შორის: თანხის მხოლოდ დამტკიცებული პროექტის მიზნებისა და ბიუჯეტის ფარგლებში გამოყენება და არამიზნობრივად ან დაუშვებლად გამოყენებული თანხის დაბრუნება; სრული და ზუსტი ფინანსური აღრიცხვა, პირველადი და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოება და არანაკლებ ოთხი წლის განმავლობაში შენახვა; მუნიციპალიტეტის, YCAF-ის/RPA-ის ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის დოკუმენტებსა და პროექტის საქმიანობაზე შემოწმებისა და აუდიტის წვდომის უზრუნველყოფა და სრული თანამშრომლობა; პერსონალური მონაცემების კანონიერად და უსაფრთხოდ დამუშავება, სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების გამოყენება და მონაცემთა უსაფრთხოების ინციდენტის შეტყობინება; მოქმედ სანქციებთან და ანტიტერორისტულ მოთხოვნებთან, აგრეთვე ანტიმექრთამეობისა და ანტიკორუფციულ მოთხოვნებთან შესაბამისობა; დისკრიმინაციისა და შევიწროების აკრძალვა; ადამიანით ვაჭრობისა და იძულებითი შრომის წინააღმდეგ მოქმედი მოთხოვნების დაცვა; ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი პირების უსაფრთხოების დაცვის (safeguarding) ვალდებულებები; აგრეთვე საჯარო კომუნიკაციისა და ინტელექტუალური საკუთრების შესაბამისი მოთხოვნები. მიმღებმა ორგანიზაციამ აღნიშნული მოთხოვნები, მათი ფუნქციების შესაბამისად, უნდა გაავრცელოს პროექტის ფარგლებში მის მიერ ჩართულ ქვეკონტრაქტორებსა და სხვა შესაბამის მესამე პირებზეც.
3. შერჩეული პროექტებისთვის დაფინანსების ჩარიცხვა ხორციელდება მიზნობრივი დაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულების შემდეგ, YCAF-ის პროგრამული ვადებისა და მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო,

სახაზინო და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების გათვალისწინებით, იმ ვადაში, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებასა და დასრულებას არაუგვიანეს 2027 წლის 14 აპრილისა.

4. თანხა ირიცხება მხოლოდ მიმღები ორგანიზაციის სახელზე არსებულ საბანკო ანგარიშზე. ფიზიკურ პირზე ან ახალგაზრდული გუნდის წევრზე თანხა არ გადაირიცხება.

5. ლარში გადასახდელი თანხის განსაზღვრისას გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი. შესაბამისი კურსის გამოყენების კონკრეტული თარიღი განისაზღვრება კონკურსის განცხადებითა და მიზნობრივი დაფინანსების ხელშეკრულებით.

მუხლი 19. პროექტის განხორციელება, ცვლილება და მონიტორინგი

1. ახალგაზრდული გუნდი ინარჩუნებს პროექტის შინაარსობრივ ხელმძღვანელობას, ხოლო მიმღები ორგანიზაცია უზრუნველყოფს თანხების აღრიცხვას, კანონიერ ხარჯვასა და დოკუმენტების შენახვას.

2. დამტკიცებული ბიუჯეტის მუხლებს შორის ნებისმიერი გადანაწილება საჭიროებს, პროგრამის ადმინისტრატორის წინასწარ წერილობით თანხმობას. ცვლილება, რომელიც ეხება პროექტის მიზანს, ძირითად აქტივობას, პროდუქტს ან შედეგს, ახალ ხარჯვით კატეგორიას, ადმინისტრაციული ხარჯის 15%-იან ზღვარს, აღჭურვილობისა და კაპიტალური ინვესტიციის 50%-იან ზღვარს ან ხელშეკრულების თანხას, ფორმდება ხელშეკრულების ცვლილებით. პროექტის დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის გაზრდა და პროექტის საბოლოო ვადის 2027 წლის 14 აპრილის შემდეგ გაგრძელება დაუშვებელია.

3. პროგრამის ადმინისტრატორი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს და უფლებამოსილია მოითხოვოს წერილობითი პროგრამული და ფინანსური ინფორმაცია და დამადასტურებელი დოკუმენტები, გამართოს სამუშაო შეხვედრები ახალგაზრდულ გუნდთან და მიმღებ ორგანიზაციასთან და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე დაათვალიეროს პროექტის აქტივობები.

4. სამუშაო ჯგუფი თითოეული დაფინანსებული პროექტისთვის განსაზღვრავს ჯგუფის ერთ პასუხისმგებელ წევრს, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე კომუნიკაციასა და მონიტორინგის კოორდინაციას. პასუხისმგებელი წევრი ინდივიდუალურად არ იღებს გადაწყვეტილებას პროექტის შინაარსობრივი ან ფინანსური ცვლილების დამტკიცების შესახებ – ასეთი გადაწყვეტილება მიიღება პროგრამის ადმინისტრატორის მიერ დადგენილი წესით.

5. მონიტორინგის ფარგლებში ტარდება: ა) დაფინანსების დაწყების ეტაპზე საერთო საორიენტაციო შეხვედრა დაფინანსებულ ახალგაზრდულ გუნდებთან და მიმღებ ორგანიზაციებთან; ბ) პროექტის განხორციელების პერიოდში სულ მცირე ერთი პროგრესის შეხვედრა თითოეულ პროექტთან, ადგილზე ან დისტანციურად; გ) დამატებითი შეხვედრა საჭიროების შემთხვევაში, მათ შორის შეფერხების, რისკის ან შეთანხმებული პირობებიდან შესაძლო გადახვევის გამოვლენისას.

6. მიმღები ორგანიზაცია და ახალგაზრდული გუნდი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ პროგრამის ადმინისტრატორს შეფერხების, უსაფრთხოების, რეპუტაციული, ფინანსური ან სხვა მნიშვნელოვანი რისკის შესახებ.

7. 7. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების ინციდენტის შემთხვევაში, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაკარგვის, უკანონო ან უნებართვო წვდომის, გამოყენების, გამჟღავნების, შეცვლის ან განადგურების ფაქტის ან დასაბუთებული ეჭვის არსებობისას, მიმღები ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობოს პროგრამის ადმინისტრატორს და მიაწოდოს მისთვის ცნობილი ინფორმაცია ინციდენტის ხასიათის, დაზარალებული მონაცემების, შესაძლო შედეგებისა და მიღებული ან დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.

8. პროექტის აქტივობების ფოტო-ვიდეო დოკუმენტირება ხორციელდება მონაწილეთა შესაბამისი თანხმობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 20. ანგარიშგება

1. პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს 2027 წლის 30 აპრილისა, მიმღები ორგანიზაცია წარადგენს პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშს.

2. პროგრამული ანგარიში უნდა მოიცავდეს განხორციელებულ აქტივობებს, მონაწილე/მოხალისე ახალგაზრდების რაოდენობას, მიღწეულ პროდუქტებსა და შედეგებს, რაოდენობრივ მაჩვენებლებს, პრობლემებს, მიღებულ გაკვეთილებს, გაგრძელების გეგმას და ფოტოებს სათაურებით.

3. პროექტის დაფინანსების ფარგლებში გაწეული თითოეული ხარჯი უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო პირველადი საბუღალტრო, საგადახდო და, საჭიროების შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების დოკუმენტებით. დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი არ ჩაითვლება დასაშვებ ხარჯად და ექვემდებარება დაბრუნებას. ფინანსურ ანგარიშს ერთვის შესაბამისი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები, საბანკო ამონაწერები, ხელშეკრულებები, ინვოისები, შესაბამის შემთხვევებში მიღება-ჩაბარების აქტები და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები.

4. მიმღები ორგანიზაცია პასუხისმგებელია დოკუმენტების ნამდვილობაზე და პროექტთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დამადასტურებელ დოკუმენტებს ინახავს არანაკლებ ოთხი წლის განმავლობაში პროექტის დაფინანსების ხელშეკრულების დასრულებიდან, თუ საქართველოს კანონმდებლობა უფრო ხანგრძლივ ვადას არ ითვალისწინებს. მოთხოვნის შემთხვევაში ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროგრამის ადმინისტრატორისა და YCAF-ის დონორის უფლებამოსილი წარმომადგენლებისთვის შესაბამის დოკუმენტებზე წვდომას და შემოწმების შესაძლებლობას.

5. დაუხარჯავი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხა ექვემდებარება დაბრუნებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 21. პასუხისმგებლობა და დაფინანსების შეწყვეტა

1. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეწყვიტოს დაფინანსება, თუ გამოვლინდა მცდარი ინფორმაცია, ინტერესთა კონფლიქტი, თანხის არამიზნობრივი გამოყენება, არსებითი გადახვევა პროექტიდან, ანგარიშგების დარღვევა ან კანონმდებლობის დარღვევა.

2. დაფინანსების შეწყვეტისას მიმღები ორგანიზაცია აბრუნებს დაუხარჯავ და/ან არამიზნობრივად გამოყენებულ თანხას. პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

3. ფორსმაჟორის შემთხვევაში მხარეები მოქმედებენ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

თავი VI. პერსონალური მონაცემები, კომუნიკაცია და დასკვნითი დებულებები

მუხლი 22. პერსონალური მონაცემები, საჯაროობა და კომუნიკაცია

1. განაცხადში მოცემული პერსონალური მონაცემები მუშავდება კონკურსის ადმინისტრირების, შეფასების, მონიტორინგისა და ანგარიშგების მიზნით.

2. პროგრამის ფარგლებში წარდგენილი განაცხადებისა და ანგარიშების დეიდენტიფიცირებული შინაარსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს YCAF-ის პროგრამის ადმინისტრირების, ტექნიკური დახმარების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შედეგების შეფასების მიზნებისთვის.

3. გამარჯვებული პროექტი ვალდებულია საჯარო კომუნიკაციაში გამოიყენოს პროგრამისა და მუნიციპალიტეტის შეთანხმებული ვიზუალური იდენტობა და საჯარო მასალები წინასწარ შეათანხმოს პროგრამის ადმინისტრატორთან. პროგრამის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს YCAF-ისა და RPA-ის მიერ განსაზღვრული კომუნიკაციისა და მხარდაჭერის სათანადო აღნიშვნის მოთხოვნების დაცვას.

4. პროექტის შედეგების საერთო საჯარო წარდგენა/აღნიშვნა იგეგმება 2027 წლის 22 აპრილს - დედამიწის დღეს.

მუხლი 23. დასკვნითი დებულებები

1. ამ დებულებით გაუთვალისწინებელი საკითხები წყდება YCAF Program Charter-ის, პროგრამის მიზნობრივი დაფინანსების ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობისა და მერის შესაბამისი აქტის საფუძველზე.

2. დებულება გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობის, მიზნობრივი დაფინანსების ხელშეკრულებისა და YCAF Program Charter-ის შესაბამისად. ბუნდოვანების ან წინააღმდეგობის შემთხვევაში საკითხს აზუსტებს პროგრამის ადმინისტრატორი, საჭიროებისამებრ YCAF-ის პროგრამის გუნდთან და მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით.

3. დებულებაში ცვლილება შეიტანება მისი დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.